ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 04

ქ. ონი 23. 04. 2025 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, ვასილ მეტრეველი, ლევან ორდინიძე, ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, სონია გუგეშაშვილი,

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი, თეიმურაზ ცეცაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი- ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი სერგო ხიდეშელი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძლიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

2.ონის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციების მართვის, კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების 2025-2027 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური კვლევების ანგარიში, კომუნიკაციებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიის, და კომუნიკაციების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი - მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი - თეიმურაზ გრძელიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

3.ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი/

4.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2005 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

5.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტის აიპ სამხატვრო სკოლის მიერ გაწეული მუშაობისა და პრობლემების შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

6.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია განვლილი სამი თვის მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1.,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 19 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 2.ონის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციების მართვის, კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების 2025-2027 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, ,,ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური კვლევების ანგარიში", კომუნიკაციებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიის და კომუნიკაციების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი - მუნიციპალიტეტის მერი. თანამომხსენებელი - თეიმურაზ გრძელიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტში საგანგებო სიტუაციების მართვის, კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების 2025-2027 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური კვლევების ანგარიში, კომუნიკაციებისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიის და კომუნიკაციების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
ალ. კერვალიშვილმა განაცხადა, რომ საკითხი თავისი მნიშვნელობით ძალზე საყურადღებოა და მოითხოვს ღრმა და საფუძვლიან შესწავლას. უნდა განისაზღვროს სტიქიურად მოწყვლადი ადგილები, ვის რა პასუხისმგებლობა ეკისრება სტიქიის მართვაში და ა.შ., რაზეც თ. გრძელიშვილმა და ლ. შერაზადიშვილმა განაცხადეს, რომ საკითხი ღრმად და საფუძვლიანად არის დამუშავებული და იგი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტებში არსებულ პროექტებს შორის.

ალ. კერვალიშვილი დაინტერესდა ასევე, საჭიდაო დარბაზსა და სპორტულ სკოლაზე გამოყოფილი თანხებით, რაზეც მიიღო განმარტება მერის წარმომადგენლებისგან.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ხიდეშელი- მუნიციპალიტეტის მერი/

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2005 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

/მომხსენებელი: სერგო ლობჯანიძე - კომისიის თავმჯდომარე/

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია 2005 წლის I კვარტლის სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სამხატვრო სკოლის მიერ გაწეული მუშაობისა და პრობლემების შესახებ.

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

ს. გუგეშაშვილმა სხდომას გააცნო საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია, ონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სამხატვრო სკოლის მიერ გაწეული მუშაობისა და პრობლემების შესახებ.

გადაწყდა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: 6.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია განვლილი სამი თვის მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე - კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას წარუდგინა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია განვლილი სამი თვის მუშაობის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე